სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება
17.11.2017 № № 217
თბილისი

სტუ-ში 2017 წლის საშემოდგომო მიღებაზე მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების რეგისტრაციის ვადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის № 152/ნ ბრძანების და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. პროფესიულმა სტუდენტებმა, რომლებიც 2017 წლის საშემოდგომო მიღებაზე პროფესიული ტესტირების საფუძველზე ჩაირიცხნენ მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაცია უნდა გაიარონ შესაბამის ფაკულტეტებზე 2017 წლის 20 ნოემბრიდან 27 ნოემბრის ჩათვლით 10:00 საათიდან 17:00 საათამდე ყოველდღე კვირის გარდა (დანართი №1).
2. რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტაცია წარმოდგენილ იქნეს დანართი №2-ის შესაბამისად.
3. პირს, რომელიც არ შეასრულებს ამ ბრძანების პირველი პუნქტის მოთხოვნებს, ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით წინასწარი გაფრთხილების გარეშე შეუჩერდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სასწავლო პროცესის მეთოდური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსს გ. აბრამიშვილს.
5. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;

რექტორი *ა. ფრანგიშვილი*

ვიზები:

ვიცე-რექტორი
ლ. კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის
უფროსი *ი. ლომიძე*

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის
უფროსი *ბ. მაისურაძე*

დანართი № 1

1. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი, მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მაღალი ძაბვის ელექტროტექნიკოსი“, სტუ-ის VIII კორპუსი, მე-6 სართული, ოთახი № 602, საკონტაქტო ტელეფონი 593 356615

2. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: “ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი”, „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“, „მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსი“, „მექატრონიკა“, სტუ-ის I კორპუსი, მე-5 სართული, ოთახი №543, საკონტაქტო ტელეფონი -2 36 40 35; 599 700804

3. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი, მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „არქიტექტორ-ტექნიკოსი“, სტუ-ის I კორპუსი, მე-4 სართული, ოთახი №410, საკონტაქტო ტელეფონი 555 573430

4. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი, მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სამრეწველო ავტომატიზაცია“, სტუ-ის VI კორპუსი, მე-2 სართული, ოთახი № 220 ბ, საკონტაქტო ტელეფონი 599 970472

დანართი №2

რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტაცია:

1. დაბადების მოწმობა/პირადობის მოწმობა/პასპორტი და ასლი;
2. 2 ფოტოსურათი (3x4სმ) ამობეჭდილი და ელექტრონული ვერსია კომპაქტ-დისკზე (CD);
3. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების წინაპირობით გათვალისწინებული დოკუმენტები - საბაზო ან სრული განათლების ატესტატი (ნოტარიულად დამოწმებული ასლი).